ქალაქ თბილისის

საკრებულო

www.tbilisisakrebulo.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის

შალვა ოგბაიძის

ანგარიში

ზოგადი ინფორმაცია:

- მეშვიდე მოწვევის საკრებულოს წევრი;
- საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
- ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს წევრი;
- სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრი (2024 წლის 10 ივლისამდე);
- ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი (2024 წლის 10 ივლისიდან).

ინფორმაცია საკრებულოს სხდომებში მონაწილეობის შესახებ:

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **14** და ბიუროს **24** სხდომა. ჯამში, მიღებული იქნა **113** დადგენილება და **675** განკარგულება.

ინფორმაცია საკრებულოს კომისიების/ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობის შესახებ:

1. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო":**

ჩატარდა ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს **19** სხდომა, სადაც განხილული იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული **43** საკითხი.

2. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია:**

ჩატარდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის **12** სხდომა, განხილული იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული **121** საკითხი.

3. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია:**

ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის **13** სხდომა, განხილული იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული **23** საკითხი.

4. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისია:**

საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა სატრანსპორტო საკითხთა კომისიის 16 სხდომა, განხილული იქნა 53 საკითხი და მომზადდა შესაბამისი დასკვნები.

საანგარიშო პერიოდში დედაქალაქში განხორციელებული ღონისძიებები ტრანსპორტის განვითარების მიმართულებით:

დედაქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკა ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია. შესაბამისად, სატრანსპორტო რეფორმის ფარგლებში, კვლავაც გრძელდება ტრანსპორტით მომსახურების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. რეფორმის ფარგლებში არაერთი პროექტი დაიწყო და ხორციელდება საანგარიშო პერიოდშიც:

- **თბილისის ბიუჯეტი**:

თბილისის 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობა **2 058 335,6** ათას ლარს შეადგენს ***(2023 წლის: 1 826 328,8 ათასი ლარი)***.

ტრანსპორტის განვითარებისთვის გამოყოფილია **485,969.7** ათასი ლარი (***2023 წლის: 435, 332.8 ათასი ლარი).***

მათ შორის:

- ✓ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები დაფინანსებულია **66,904.7** ათასი ლარით;

- ✓ საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია **9,691.4** ათასი ლარით.

- ➢ **ავტობუსების პარკი:**

- ✓ სრულად განახლდა ავტობუსების პარკი - სატრანსპორტო კომპანიის ბალანსზეა **950** თანამედროვე სტანდარტის, ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსი;
- ✓ სატრანსპორტო კომპანიის ავტოპარკს დაემატა 75 ერთეული - 18 მეტრიანი MAN „Lion's City" 18C მარკის ავტობუსი;
- ✓ 2024 წლის 16 მაისს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა" და შპს „თეგეტა მოტორსს" შორის გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება დამატებით 40 ერთეული CNG-ის ძრავზე მომუშავე 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსის სახელმწიფო შესყიდვაზე;
- ✓ 2024 წლის 1-ლ, მე-2 და მე-3 კვარტალში გატარებული ცვლილებებიდან გამომდინარე, დედაქალაქში მოქმედი M3 კატეგორიის ავტობუსების N301,302,308,310,314 მარშრუტები ეტაპობრივად ჩანაცვლდა შესახსრებული ავტობუსებით (18 მეტრი სიგრძის);
- ✓ მიმდინარეობს ახალი საავტობუსე ბაზის მშენებლობა.

- ➢ **საბაგირო:**

- ✓ დასრულდა რუსთაველი - მთაწმინდის დამაკავშირებელი საბაგირო გზის სრული განახლება და მშენებლობა;
- ✓ მგზავრებს 21 ერთეული 8-კაციანი გონდოლა მოემსახურება და მანძილს 4 წუთში დაფარავს;
- ✓ საბაგირო გზა ერთი მიმართულებით, საათში 1200 მგზავრის გადაყვანას უზრუნველყოფს;
- ✓ პროექტის საერთო ღირებულება 50 მლნ. ლარია.

- **მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ტრანსპორტის დატვირთულობა:**

- ✓ M3 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია - **124 399 473** მგზავრი (მათ შორის: 60 541 137 შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე მგზავრი, 47 027 788 სტანდარტული ტარიფით მოსარგებლე მგზავრი, 16 830 548 აბონემენტით მოსარგებლე მგზავრი). შესრულებულია - 3 000 564 რეისი;
- ✓ მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) გადაყვანილია **– 108 694 519** მგზავრი (აქედან **43 744 465 შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე მგზავრი**, 50 493 140 სტანდარტული ტარიფით მოსარგებლე მგზავრი, 14 456 914 აბონემენტით მოსარგებლე მგზავრი). შესრულებულია - 451 639 რეისი;
- ✓ საბაგირო გზით გადაყვანილია - **1 914 012 მგზავრი** (აქედან **121 332 შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე მგზავრი,** 1 778 944 სტანდარტული ტარიფით მოსარგებლე მგზავრი, 13 736 აბონემენტით მოსარგებლე მგზავრი). შესრულებულია -243 627 რეისი
- ✓ M2 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია - **58 076 113** მგზავრი (**აქედან 27 139 605 შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე მგზავრი,** 21 952 043 სტანდარტული ტარიფით მოსარგებლე მგზავრი, 8 984 465 აბონემენტით მოსარგებლე მგზავრი) შესრულებულია - 3 525 048 რეისი;
- ✓ გაყიდულია **342 242** ცალი აბონემენტი მათ შორის: (1 დღიანი 99 974 ცალი, 1 კვირიანი 8 226 ცალი, 1 თვიანი 193 685 ცალი, 3 თვიანი 7 437 ცალი, 6 თვიანი 15 692 ცალი, 1 წლიანი 17 228 ცალი).

- **საგზაო ნიშნები/დახაზვითი სამუშაოები:**

- ✓ დამონტაჟდა 4 111,5 გრძ.მ მოძრაობის სიჩქარის ხელოვნული შემცირების ბარიერები;
- ✓ დამონტაჟდა 2 658 ერთეული საგზაო ნიშანი;
- ✓ დამონტაჟდა 3 360 გრძ. მ საგზაო ნიშნის დგარი;
- ✓ დამონტაჟდა 83 უსაფრთხოების სფერული სარკე;
- ✓ დამონტაჟდა 2 311 ცალი ეთილენ ვინილაცეტატის მოქნილი ბოძკინტი;
- ✓ დამონტაჟდა 390 ცალი პოლიესტერის წახნაგოვანი მდგრადი ბოძკინტი;

- ✓ დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე დატანილი იქნა აკრილის საგზაო საღებავი-3 199,23 კვ.მ; ცივი პლასტი-56 106,19 კვ.მ; თერმო პლასტი-10 703,49 კვ.მ.

- ➢ **ჭკვიანი შუქნიშნები:**

ჭკვიანი შუქნიშნების მოსაწყობად დაიხარჯა - 5 878 960 ლარი. მათ შორის:

- ✓ შეიცვალა შუქნიშნის 111 მოდული;
- ✓ დამონტაჟდა 21 ცალი ქვეითთა შუქნიშანი;
- ✓ განხორციელდა 121 ცალი შუქნიშნის დგარის მონტაჟი;
- ✓ განხორციელდა წერეთლის გამზირზე 20 შუქნიშნის ობიექტის მონტაჟი და მართვის ცენტრთან დაერთების სამუშაოები.

- ➢ **ახალი სადგომები:**

- ✓ განხორციელდა თბილისში, გელოვანის გამზირზე 01.10.11.001.449 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სპეციალური დაცული სადგომის მოწყობა;
- ✓ განხორციელდა თბილისში, 01.10.11.001.468 და 01.10.16.004.306 საკადასტრო კოდებზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე დამხმარე შენობების, ელექტროობის, განათების, ვიდეო-მონიტორინგის სისტემის, წყლისა და სანიაღვრე ქსელების, გენერატორების, გათბობა-გაგრილების სისტემების, უწყვეტი კვების სისტემების მოწყობისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების წარმოება.

- ➢ **ინფრასტრუქტურული პროექტები:**

- ✓ დასრულდა ბაგების დასახლებისა და უნივერსიტეტის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის მშენებლობა;
- ✓ დასრულდა მიხეილ თამარაშვილის გამზირისა და ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილის კვეთაზე სატრანსპორტო კვანძის მოწყობის სამუშაოები. პროექტის ფარგლებში, მოეწყო ორი ამსვლელ-ჩამომსვლელი პანდუსი, დამონტაჟდა გარე განათების ქსელი

LED ლამპიონებით. ფეხით მოსიარულეებისთვის მოეწყო ტროტუარები და დაიგო ასფალტის რამდენიმეფენიანი საფარი, სავალი ნაწილი დაიხაზა და დამონტაჟდა შუქნიშნები. პროექტი დედაქალაქის ბიუჯეტიდან 1,7 მილიონი ლარით დაფინანსდა;

- ✓ დასრულდა აკაკი წერეთლის გამზირის რეაბილიტაცია. წერეთლის გამზირზე ჩატარებული რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის სამუშაოები მოიცავდა მიწისქვეშა კომუნიკაციების განახლებას, საჰაერო სადენების მიწისქვეშ განთავსებას, ტროტუარების, უსაფრთხოების კუნძულების, გარე განათების ქსელისა და ასფალტის საფარის მოწყობას, ლედ ლამპიონების მონტაჟს, მოსაცდელების და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ზოლების მოწყობას, მიწისქვეშა ურნების განთავსებას;
- ✓ წყნეთის გზატკეცილზე სამუშაოები ბაგების დასახლების ახალ საავტომობილო ხიდამდე შესრულდა. დამონტაჟდა გარე განათების ქსელი LED სანათებით, მოეწყო უსაფრთხოების კუნძულები, სავალი ნაწილი დაიხაზა და განთავსდა საგზაო ნიშნები, განახლდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელები;
- ✓ დაიწყო უნივერსიტეტისა და ქავთარაძის ქუჩების დამაკავშირებელი გზის და გვირაბის მშენებლობა, რომელიც, პროექტის მიხედვით 2025 წლის იანვარში დასრულდება.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომებზე განხილული საკითხები:

- ➢ **2023 წლის 17 ნოემბრის სხდომა:**

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032331753-03; 13.11.2023):

ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 1 700,912.4 ათასი ლარით, ხოლო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენის პრიორიტეტი - 542 391,1 ათასი ლარით.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03233207-03; 16.11.2023);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-74 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03233207-03; 16.11.2023);
- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03233207-03; 16.11.2023):

ცვლილების თანახმად, ზონის მიხედვით სატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასურის გადახდის მიზნით ჩარიცხული თანხა, უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, დაექვემდებარება დაბრუნებას.

- **2023 წლის 11 დეკემბრის სხდომა:**

- სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

- **2023 წლის 14 დეკემბრის სხდომა:**

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032334259-03; 08.12.2023):

წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 763 354,7 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით ასიგნებები მიიმართება შემდეგ პრიორიტეტებზე:

- *სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 567 498,1 ათასი ლარი;*
- *ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 267 969,4 ათასი ლარი;*
- *ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 221 611,1 ათასი ლარი;*
- *ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 2 153,5 ათასი ლარი;*
- *ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 38 796,3 ათასი ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 154 920,1 ათასი ლარი;*
- *განათლება - 248 047,1 ათასი ლარი;*
- *კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 35 534,7 ათასი ლარი;*
- *საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 7 297,0 ათასი ლარი;*
- *ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 219 527,4 ათასი ლარი.*

➢ **2023 წლის 19 დეკემბრის სხდომა:**

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის № 19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032334971-03; 15.12.2023):

ცვლილების შედეგად, 29 962,1 ათასი ლარით გაიზარდა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციის პროგრამა.

➢ **2023 წლის 27 დეკემბრის სხდომა:**

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03233569-03; 22.12.2023):

განხორციელებული ცვლილების შედეგად, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მონიტორინგის სამსახურის უფლებამოსილებას დაემატა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135² მუხლით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების, აგრეთვე, ამავე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებისას საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენის/გამოწერის ფუნქცია.

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03233569-03; 22.12.2023):

  ცვლილება უზრუნველყოფს ისეთი ალტერნატიული საგზაო მონიშვნის დამატებას, რომელიც გაუადვილებს მძღოლებს ზონალური პარკირების არეალების იდენტიფიცირებას. კერძოდ, იმ ადგილებში, სადაც გზა ემიჯნება ტროტუარს, მანქანის გაჩერების შემდგომ მძღოლები სწორედ ტროტუარზე აგრძელებენ სვლას. შესაბამისად, ბორდიურის ფილაზე განთავსებული საგზაო მონიშვნა საუკეთესო საშუალება გახდება პარკირების ადგილების იდენტიფიცირების საქმეში.

- ,,სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03233569-03; 22.12.2023):

  აღნიშნული დადგენილებით დამტკიცდა ავტობუსებისათვის (M2 ან M3 კატეგორიის) სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტების დამტკიცების წესი, მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტები და დასაქმებულების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტები. ამასთანავე, მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით მოძრავ ავტობუსებს, მიენიჭათ სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში („BUS LANE“) გადაადგილების უფლება.

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03233569-03; 22.12.2023):

  პროექტის შესაბამისად, აიკრძალა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე 08:00-11:00 და 17:00-20:00

საათების შუალედში M_3, N_2 და N_3 კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა. ამასთანავე, დადგინდა იმ სატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი, რომლებზეც არ ვრცელდება ზემოაღნიშნული შეზღუდვები. ამასთანავე, დანართის შესაბამისად, დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების ჩამონათვალი, რომლებზეც გავრცელდა ამ დადგენილებით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის აკრძალვა.

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12- მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323356174-03; 22.12.2023):

განხორციელებული ცვლილების შედეგად, ელექტრონული საჯარიმო ქვითრების შედგენისას შესაბამისი სერიის მინიჭება ხდება სააგენტოს სამსახურების მიხედვით, რის შემდეგაც მარტივი გახდა შედგენილი საჯარიმო ქვითრის იდენტიფიცირება.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03233568-03; 22.12.2023).

➢ **2024 წლის 23 იანვრის სხდომა:**

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03240183-03; 18.01.2024).

➢ **2024 წლის 20 თებერვლის სხდომა:**

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032404613-03; 15.02.2024);
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (16-03240294-03; 29.01.2024);
- „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M_2 ან M_3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0324046120-03; 15.02.2024):

ცვლილების შედეგად დაკონკრეტდა, რომ ავტობუსის ძარის ვიზუალური მდგომარეობა აშკარად უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მათი მეშვეობით კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეების გადაყვანის თაობაზე, რათა მაკონტროლებლის და სხვა მძღოლების მიერ მარტივად მოხდეს მათი იდენტიფიცირება. ამასთან, საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებული პირების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტების დამტკიცების მიზნით, დამსაქმებელის მიერ წერილობითი განცხადებით სააგენტოში წარსადგენ დოკუმენტებს დაემატა ავტობუს(ებ)ის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების წარმატებით გავლის დამადასტურებელი მოწმობა, ვინაიდან, მარშრუტის შეთანხმებისას დადგინდეს მარშრუტზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალების კატეგორია და ასევე, არის თუ არა ის ტექნიკურად გამართული.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0324046120-03; 15.02.2024);
- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0324046120-03; 15.02.2024).

- **2024 წლის 22 მარტის სხდომა:**

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03240511-03; 20.02.2024);
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032406062-03; 29.02.2024):

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, შპს „თბილისი ენერჯი“, სს „თელასი“ და ამ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისი სამუშაოს ჩატარებაზე პასუხისმგებელი სხვა პირები ოპერატიული სამუშაოების ჩატარებისას, რომელთა წარმოებაც განპირობებულია ავარიით ან/და გადაუდებელი აუცილებლობით, გათავისუფლდნენ საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის შეთანხმების დაჩქარებული მომსახურების გაწევის საფასურისგან.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03240711-03; 11.03.2024);

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A" კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032408045-03; 20.03.2024):

  განხორციელებული ცვლილების შედეგად, იმ შემთხვევაში, თუ გამოკვლევის საფუძველზე დადგინდება, რომ სატრანსპორტო საშუალების სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში მოძრაობის მიზნობრიობა არ შეესაბამება წესის მე-2 მუხლის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას (მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანა), ასეთ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალება „A" კატეგორიის ნებართვიდან იხსნება ფაქტის გამოვლენიდან ერთი წლის ვადით.

- ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032408046-03; 20.03.2024):

  განკარგულების დამტკიცების შედეგად, მოქალაქეებს, რომელთაც 2023 წლის 1 ივლისიდან გამოწერილი ჰქონდათ ელექტრონული საჯარიმო ქვითრები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის და გადაიხადეს ჯარიმა შესაბამის სახაზინო კოდზე, სადაც ფიქსირდება მხოლოდ სახელი, გვარი, პირადი ნომერი და არ ფიქსირდება საჯარიმო ქვითრის ნომერი, ჯარიმა ჩაეთვალათ გადახდილად და მათი მონაცემები აღარ გადაეცა აღსრულების ეროვნულ ბიუროს შემდგომი რეაგირებისთვის.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის" 23-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ.

➢ **2024 წლის 23 აპრილის სხდომა:**

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (12-032405959-03; 28.02.2024):

  მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2023 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის პრიორიტეტი დაფინანსდა 547,439.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (565,829.4 ათასი ლარი) 96.7%-ია.

- „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032410226-03; 11.04.2024):

  ცვლილების თანახმად, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში („BUS LANE“) გადაადგილების უფლება მიეცათ შპს „ევროპული სკოლის“, შპს „ბრიტანულ ქართული აკადემიის“, შპს „თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის“ სატრანსპორტო საშუალებებს. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებულების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსების მარშრუტებს დაემატა შემდეგი კომპანიების მარშრუტები - შპს „ბრიტანულ ქართულ აკადემია“, შპს „თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა“, სსიპ საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“, შპს „შარმ ტრეიდინგი“.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტის, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების (M3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032410953-03; 18.04.2024):

  ცვლილების შედეგად, თბილისის საკრებულო ითანხმებს ახალი M3 კატეგორიის მარშრუტს რუსთავიდან თბილისის მიმართულებით.

- **2024 წლის 26 აპრილის სხდომა:**

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03241142-03; 23.04.2024).

- **2024 წლის 24 მაისის სხდომა:**

- „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032412317-03; 02.05.2024):

  ცვლილების თანახმად, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში („BUS LANE“) გადაადგილების უფლება მიენიჭათ შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის“ კუთვნილი M3 კატეგორიის ავტობუსებს. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებულების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსების მარშრუტებს ემატება შპს „ავერსი ფარმა“-ს და სს „ლილო 1“-ის კუთვნილი ავტობუსების მარშრუტები.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032413744-03; 16.05.2024);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032413745-03; 16.05.2024).

➢ **2024 წლის 14 ივნისის სხდომა:**

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის № 33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (11.06.2024; 12-032416361-03);
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (11.06.24; 12-03241632-03):

ცვლილების შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს სპეციალური დაცული სადგომების მართვის სამსახური გაიყო ორ სამსახურად და მათ ეწოდათ ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილ №15-ში მდებარე სპეციალური დაცული სადგომის მართვის №1 სამსახური და გელოვანის გამზირზე მდებარე სპეციალური დაცული სადგომის მართვის №2 სამსახური.

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (11.06.24; 12-03241632-03):

პროექტის თანახმად, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დანართი 2-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული თბილისის ტერიტორიაზე მოქმედი შეზღუდვითი ზონები არ გავრცელდება იმ შემთხვევაში, თუ თბილისის მთავრობის მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მოეწყოს ავტობუსის გაჩერებისთვის ან სპეციალური დაცული სადგომისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის

რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (11.06.24; 12-03241632-03);

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (11.06.24; 12-03241632-03):

განკარგულების დამტკიცების შედეგად, მოქალაქეებს რომელთა მიმართაც 2023 წლის პირველი ივლისიდან 2024 წლის პირველ ივნისამდე შედგენილია ელექტრონული საჯარიმო ქვითრები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისათვის და ამ ელექტრონული საჯარიმო ქვითრით განსაზღვრული ჯარიმა ან/და ჯარიმის გადაუხდელობის გამო დარიცხული საურავი გადახდილი აქვთ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის სახაზინო კოდზე (300773255), ამასთან, ფიქსირდება სამართალდამრღვევის მონაცემები (სახელი, გვარი და პირადი ნომერი), თუმცა არ აქვთ მითითებული ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი, ჯარიმა ჩაეთვლებათ გადახდილად.

- **2024 წლის 12 ივლისის სხდომა:**

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის № 33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032419312-03; 11.07.2024):

ცვლილების შედეგად, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) გაიზარდა - 4 400,0 ათასი ლარით.

- „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032418016-03; 28.06.2024):

აღნიშნული დადგენილებით, მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსის მარშრუტების შეთანხმების ვადა გახანგრძლივდა 1 წლით.

- „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032419314-03; 11.07.2024):

  ცვლილების თანახმად, დაკონკრეტდა ნებართვის მფლობელის უფლება-მოვალეობები და წესში მიეთითა, რომ ნებართვის მფლობელმა ხაზზე გაშვებისას უნდა უზრუნველყოს თითოეული ავტობუსის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა, აგრეთვე კონდიცირების (გათბობის/გაგრილების) სისტემის გამართულად ფუნქციონირება. იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის მფლობელი არ დაიცავს აღნიშნულ სანებართვო პირობას, ამოქმედდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სანქცია.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032418490-03; 02.07.2024).

  - **2024 წლის 16 აგვისტოს სხდომა:**

- ,,სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032420418-03; 22.07.2024):

  ცვლილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებულების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსების მარშრუტებს დაემატა შემდეგი კომპანიების მარშრუტები - სს „გეფა“, შპს „ბარამბო“, შპს „ვიმ-ბილ-დან საქართველო“, შპს „ავერსის კლინიკა“.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03242151-03; 02.08.2024):

  ცვლილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე 08:00-11:00 და 17:00-20:00 საათების შუალედში აიკრძალა T კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე (12-032421448-03; 01.08.2024):

  ცვლილების თანახმად, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ პირებს სამეწარმეო საქმიანობისთვის საქონლის სატრანსპორტო საშუალებით მიწოდების/ტრანსპორტირებისას 08:00-11:00 საათების შუალედში გადაადგილების აკრძალვის ვადა გაუხანგრძლივდათ და განისაზღვრა 2025 წლის 1 იანვრიდან.

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში მოტოციკლის (გარდა სამთვლიანისა) ან/და მოპედის (გარდა სამთვლიანისა) მოძრაობის დროის და პირობების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03242224-03; 09.08.2024):

  ცვლილების თანახმად, 2024 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში („BUS LANE“) დასაშვები გახდა მოტოციკლის (გარდა სამთვლიანისა) და მოპედის (გარდა სამთვლიანისა) გადაადგილება.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032422242-03; 09.08.2024);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032422242-03; 09.08.2024);
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032422242-03; 09.08.2024);
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032422242-03; 09.08.2024):

აღნიშნული ცვლილების განხორციელების შემდეგ, საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემების შეთანხმების მსურველი განმცხადებელი ერთი ფანჯრის პრინციპით, გამარტივებულად მიმართავს მხოლოდ ერთ ადმინისტრაციულ ორგანოს (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს) საკითხის შეთანხმების მიზნით.

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-03242276-03; 14.08.2024):

პროექტის თანახმად, პირებს, რომელთა მიმართაც 2023 წლის პირველი ივლისიდან 2024 წლის პირველ ნოემბრამდე შედგენილია/შედგენილი იქნება ელექტრონული საჯარიმო ქვითრები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევების

ჩადენისათვის და ამ ელექტრონული საჯარიმო ქვითრით განსაზღვრული ჯარიმა ან/და ჯარიმის გადაუხდელობის გამო დარიცხული საურავი გადახდილი აქვთ/ექნებათ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის სახაზინო კოდზე (300773255), ამასთან, ფიქსირდება/დაფიქსირდება სამართალდამრღვევის მონაცემები (სახელი, გვარი და პირადი ნომერი), თუმცა არ აქვთ/ექნებათ მითითებული ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი, ჯარიმა ჩაეთვალებათ გადახდილად.

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების (M3 კატეგორია) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032422651-03; 13.08.2024):

წარმოდგენილი პროექტის საფუძველზე, რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დისლოკაციების ადგილებს დაემატა 3 წრიული მარშრუტი.

- **2024 წლის 13 სექტემბრის სხდომა:**

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0324256111-03; 12.09.2024):

ცვლილებით, დეტალურად განისაზღვრა მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანაზე ნებართვის მფლობელისთვის განსაზღვრული სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლი. მონიტორინგის გაწევის მიზნით შესაძლებელია ტაქსის აპლიკაციებით გამოძახება და შემოწმება, აპლიკაციაში დაფიქსირებული მონაცემების (ე.წ. „სქრინის“) დადგენილი წესით შენახვა შემდგომში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის დადასტურების მიზნით, აღნიშნული სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით სააგენტოს უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულთან ერთად რეაგირება, ასევე ავანსის სახით თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი წლის ბიუჯეტიდან სააგენტოსთვის გამოყოფილი ფულადი რესურსით ტაქსით მგზავრობა

სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით.

- **2024 წლის 17 ოქტომბრის სხდომა:**

- სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია:

- ✓ შედგა შეხვედრები მოქალაქეებთან (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებთან);
- ✓ თითოეულ მათგანს გაეწია სხვადასხვა სახის კონსულტაცია და დახმარება;
- ✓ გაგრძელდა შეხვედრები სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან;
- ✓ სატრანსპორტო საკითხთა კომისიაში სხვადასხვა მოთხოვნით შემოსულ მოქალაქეთა განცხადებებზე განხორციელებული იქნა სათანადო რეაგირება;
- ✓ რიგ შემთხვევებში, საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომისიაში შემოსული ინფორმაციის (როგორც წერილობითი, ისე ზეპირი) გადამოწმებისა და მითითებული ფაქტების დეტალურად შესწავლის მიზნით, დაიგეგმა გასვლები კონკრეტულ ადგილებზე. კომისიის წარმომადგენლები და სხვა უწყებების უფლებამოსილი პირები, ადგილზე გაეცნენ არსებულ ვითარებას და პრობლემის ოპერატიულად გადაჭრის მიზნით, დაგეგმეს განსახორციელებელი ღონისძიებები;
- ✓ განცხადებებში დასმული პრობლემური საკითხების სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, დაიგეგმა და ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, როგორც საკრებულოს შენობაში, ისე მის გარეთ;
- ✓ ასევე, სხვადასხვა უწყებებიდან, როგორც მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, ისე ცალკეულ შემთხვევაში, საკუთარი ინიციატივით გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაცია/გაიგზავნა შეკითხვა და ინიციატივა.

სამუშაო შეხვედრები და სხვა სახის აქტივობები:

- ✓ 10 ოქტომბერი, 2024 - საქართველოს ავტომობილების ინსპექტირების ცენტრების ასოციაციის ორგანიზებულ კონფერენციაში ,,ინსპექტირება უსაფრთხოებისათვის” მონაწილეობა;

- ✓ 15 სექტემბერი, 2024 - ლილო არენა, საქართველოს ჩემპიონატი კარტინგში-მეექვსე ეტაპი;
- ✓ 21 ივლისი,2024 - ლილო არენა, საქართველოს ჩემპიონატი კარტინგში - მეოთხე ეტაპი;

- ✓ 6 ივნისი, 2024 - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-14 ფორუმში „ჯანსაღი ქალაქი - მწვანე, ეკოლოგიურად სუფთა გარემო, მოქნილი და მდგრადი ურბანული განვითარება“ მონაწილეობა;
- ✓ 19 აპრილი, 2024 - UNDP-ს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში ,,ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება მოქალაქეთა ჯანმრთელობის დასაცავად“ მონაწილეობა;
- ✓ 20 მარტი, 2024 - თბილისის მერია, შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებზე;
- ✓ 7 მარტი, 2024 - სამუშაო შეხვედრა სატრანსპორტო სფეროში გაწეული მუშაობის შესახებ (EBRD), სასტუმრო ,,რუმს თბილისი“;
- ✓ 1 თებერვალი, 2024 - რადიო იმედი, გადაცემა, თემა: სატრანსპორტო პოლიტიკა;
- ✓ 11 იანვარი, 2024 - ტელეკომპანია ,,იმედი“, გადაცემა ,,იმედის დილა“ - თემა: 1 იანვრიდან ამოქმედებული ახალი რეგულაციები დედაქალაქში მოძრავ სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით;
- ✓ 9 იანვარი, 2024 - სერგო ფარაჯანოვის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობა;
- ✓ 18 დეკემბერი, 2023 - ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 2023 წლის პროექტების ანგარიშის პრეზენტაცია;
- ✓ 13 დეკემბერი, 2023 - ონლაინ კონფერენცია ,,ბავშვთა საგზაო უსაფრთხოება" მონაწილეობა;
- ✓ 12 დეკემბერი, 2023 - გლდანის რაიონის გამგეობის 2023 წლის პროექტების ანგარიშის პრეზენტაცია;
- ✓ 10 დეკემბერი, 2023 - საავტომობილო ფედერაციის გალა-დაჯილდოება;
- ✓ 27 ნოემბერი, 2023 - დედაქალაქის მდგრადი ურბანული მობილობისადმი მიძღვნილი კონფერენცია;
- ✓ 1 ნოემბერი, 2023 – თბილისის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-12 ფორუმში მონაწილეობა.